ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N11

30 აგვისტო 2024 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2024 წლის 30 აგვისტოს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, შადიმან გორგოძე, ბიძინა ჯაბიძე, კახა კოხოძე, ზაზა ზივზივაძე,შალვა მშვილდაძე, ჯუმბერ რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე. ალექსანდრე ფახურიძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძემ, მაია კბილაშვილი, ირაკლი გოგსაძე, გიორგი კოტორეიშვილი, მურად ბურჯანაძე, ზვიად გუმბერიძე, თეა გოგნაძე, ნინო ფურცელაძე გვანცა გრძელიძე, გურამ ჩხეიძე, დიომიდე კიკნაველიძე, მაკა მესხი.

სულ: 25 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ზვიზდ გუმბერიძე ნინო კვირიკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ნატო მაჩიტაძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორი.

ანტონ ქარაბაკი - მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

ვლადიმერ მელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

თამთა ჯიხვაძე - საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.

პრესის წარმომადგენლები (ჩემი გაზეთი)

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარემ ნ. გიორგიძემ, სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ“.

მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი-ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ნატო ნაჩიტიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი-ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების გამოფენისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე - მუნიციოპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 25 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ“.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მაჩვენებლებზე ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარადგინა: ლერი გუმბერიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: მურად ბურჯანაძემ, ირაკლი გოგსაძემ, მაია კბი;ლაშვილმა, გურამი კიკნაველიძემ, ნოდარ გიორგიძემ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიაზე განხილვის შესახებ კომისიის პოზიცია სხდომას გააცნო, ამავე კომისიის თავმჯდომარემ-მურად ბურჯანაძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ ცნობად მიიღო, „მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ“.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი-ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

ააიპ-ის ანგარიში მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა: ნატო ნაჩიტიძემ-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი-ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი.

აზრი გამოთქვეს: ირინა ტყეშლაშვილმა, თეა გოგნაძემ, ბიძინა ჯაბიძემ, ნოდარი გიორგიძემ.

საკრებულოს კულტურის განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შფასება და განხილვის შედეგები მუნიციპალიტეტის საკრებულ;ოს წევრებს გააცნო, ამვე კომისიის თავმჯდომარემ, ირინა ტყეშელაშვილმა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N31 განკარგულება:გ-67. 6724243001 თარიღი:30/08/2024 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 25 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3.. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების გამოფენისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ.

განკარგულების პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს გააცნო: **გვანცა გრძელიძე - მუნიციოპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N32 განკარგულება:გ-67. 67242432 თარიღი:30/08/2024 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 25 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**